

ლახტი



№ 7 კვირა, 20 აპრილი.

ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მ. 50 კ., ნახევარი წლით 1 მ. 25 კ. წერალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდგომ ადრესით: თიფლისი. მუხრანსკაია 12, ძია ჟურნალა „ლახტი“.

შანი 5 კაპ.

№ 7



ლიბიტრი ყიფიანი
(დაბადებიდან 100 წლის შესრულების გამო).

დიმიტრი ყიფიანი

ამ წლის 14 აპრილს შესრულდა ასი წელიწადი, რაც დაიბადა დიდებული ადამიანი. დიმიტრი ყიფიანი პირველი წერაკითხვა დედისაგან ისწავლა, შემდეგ ტფილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა, აქედან კეთილშობილთა სასწავლებელში გადვიდა.

1832 წ. დიმიტრამ სხვებთან ერთად მონაწილეობა მიიღო შეთქმულობაში რუსის მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო დიმიტრი ერთი წელიწადი მეტეხის ციხეში იჯდა, როგორც ერთი უმთავრესი შეთქმულთაგანი, მერე ქ. ვოლოგდაში იქნა გაგზავნილი. ვოლოგდაში სამსახურის ნება მისცეს და გუბერნატორის კანცელარიაში მსახურობდა. ვოლოგდიდან დაბრუნებული ქუთაისში მსახურობდა 4 წელაწადს. მერე ტფილისში მსახურობდა და დიდათ პატივცემული იყო ვორონცოვისაგან. დიმიტრამ დიდი მონაწილეობა მიიღო ქართულ თეატრის და „ცისკრის“ დაარსებაში. ამ დროს დიმიტრამ დასწერა რუსულად „ქართველ წოდებათა შესახებ“ და „საქართველოს ისტორიის მასალებზე“. ყირიმის ომის დროს დაინიშნა ბებუთოვის სამხედრო კანცელარიის დირექტორად. მაგრამ მალე მთავარმართებელმა მურავიოვმა საქალაქო ნაწილის მმართველად დანიშნა; ხოლო უმაღლესმა მთავრობამ არ დაამტკიცა ამ თანამდებობაზე და სამაგიეროთ მთავარმართებლის საბჭოს წევრობა მისცეს. ამ ხანებში დიმიტრამ გადმოთარგმნა ფრანგულიდან „რომეო და ჯულიეტა“ შექსპირისა, „ლარიზი კაცის რომანი“ ფულვიესი, „ცოლის შერთვევინება“ მოლიერისა, „ორი ვერონელი“ შექსპირისა და სხვ. 1864 წ. დიმიტრი აირჩიეს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალად. თუმცა გრ. ორბელიანი და სხვა დიდი თავადიშვილები წინააღმდეგნი იყვნენ მისის არჩევისა. მარშლობის დროს

დიმიტრი ეკადა, რომ მთავრობას შემწეობა აღმოეჩინა ფულით თავდადაზნაურობისათვის ყმების ჩამორთმევისა გამო. ამ ფულების ნაწილით დაარსდა ტფილ. და ქუთ. სათავად-აზნაურო ბანკები. მარშლობის დროს დიმიტრი ატარებდა ქართველ თავად-აზნაურობის წინამძღოლის სახელს, რისთვისაც დიდი შეტაკება მოუხდა რუსის პუბლიცისტთან კაუკოვთან. მარშლად იყო 6 წელი, მერე არ ინდომა. დაბრუნდა სოფელში და გადმოთარგმნა შექსპირის „შევილობა“. დასწერა თავის მოგონებანი (Реч. Стар.) და დაიწყო ქართული გრამატიკის შედგენა. 1885 წ. არჩეულ იქნა ტფილისის ქალაქის მოურავად.

1885 წ. დიმიტრი ყიფიანი ერთხმად აირჩიეს ქუთაისის საგუბერნიო მარშლად. ამ თანამდებობაზე დაჰყო ერთი წელიწადი, უკმაყოფილება მოუვიდა ადგილობრივ უმაღლ. ადმინისტრაციასთან და ეგზარხოსთან და გადასახლებულ იქნა სტავროპოლში...

დიმიტრი იყო დიდებული მამულიშვილი და მისი მსგავსი მეცხრამეტე საუკუნეში აღარაფერ დაბედებულა საქართველოში...

ნებარსი ნებულო!

(დ. ყიფიანის დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო).

სამოცდაათი წლის იყავ, დიდ ხელმწიფეს მსახურებდი, არ გაგიშვეს, შენ სამშობლოს თუმც სიკეთეს უპირებდი!

ასეც მოხდა, ვილაცამ რომ დაგიწყველა საქართველო, წინ წადეკი, მის თვალებმა, გითხრეს, „ჩუ ნუ გამამხელო!“

შენ შენი არ დაიშალე, მაგიერი უბასუხე, თურმე შენი პასუხითა, ზოგიერთნი შეაწუხე!

მოგაშორეს შენს სამშობლოს, რაღაც გიმტრეს, ჩვენ, რომ ვნახეთ, ნამეტანი სიმწარითა, ვიტირეთ და ვივავლახეთ!

არ მოჰყვდები: ვიდრემდისინ, ჩვენ ვიქნებით ქართველები, და ვერცა გაიხარებენ, მაგვარ საქის ჩამდენები! ყველა ამას გაიძახის, ყმაწვილია თუ ხნიანი, „ჩვენ გულშია დამარხული, დიდებული ყიფიანი!..“

მიზა.

დიმიტრი ყიფიანს

დაიკვნესა... განისვენა... ცათ აფრინდა მისი სული. მიატოვა მან სამშობლო ნისლ-ბურუსით შემორტყმული.

ნეტავ რისთვის განგვეშორა? რად ესტუმრა მას სიკვდილი? რად მოგვტაცა უღმობელომა დატანჯული ერის შვილი?

გარდიცვალა — არ მომყვდარა: მისი ღვაწლი, მისი სული, დაიხსომებს... შეიყვარებს... მას სამშობლო დატანჯული!.. გ. ლეონიძე.

გაზაფხული

ჭყვავის და ჭსარობს მთლად არე-მარე, მთა-ბასრ შუქსა ჭყენს მნათობი მთვარე; მარბის, მოშხუას ცეცქი მდინარე სვართს-ზვართზე ისფრის ტალღა მდე-ღვარე.

ჭაიჭიკებს ჩიტო, გადობს ბულებუი, აც კეკლეტობს აყვავებული; იფურჩქენის ვაზი, — გლეხის დარგუდი თან იცრემლება გასარებული.

ზღვა მედიდურობს, ღელავს, ბობოქრობს, სედ მცურავ კემის დაღუპვას ქლამობს... კეში მისცურავს და არა ჭმონობს მძვინვარე ზვირთებს თამამად აზობს.

ტყე მოშრიადე ახლად იშლება, ცა ბობურგადი ფარუხის-ფრდებს; სუსხიან ზამთარს დღენი ეთვლება — და გაზაფხული გვაასლფავებს.

ჭოი, გაზაფხულო! ეგ შენი ძალი — ჩაგრულთ იმედი, აღმამოერენადი...

შენ მოგაქვს თანა უგუჯა ახალი და დაგაფასებს თვათ შიშვალად.

მაშ გაუმარჯოს სანატრელ დღესა და მის სხივასან ბრწყინვალე მზესა. — რადგანც გვაშორებს სამთარს მწარესა, და უაღრესებს ბედ კრულ მხარესა!..

II

რა ღამაში ხარ ბუნებაჲ ტკბილო, გაზაფხულის შიშვალად ახლად შვილო, ათას-ფეროვნად გადაფენილო, თვალის წარმტაცად, კოხტად მკობილო.

დიდი, მატარა, — უგუჯა შეგტრფიან, შევეარებულნი შენ კიმიდრიათ; გულისა სიმნი შენთვის ყელრიათ და სიხარულით შემოგნატრიან.

შენით მხნეულება სისო-მისდილი, შენში იფარავს თავსა დეგნილი... ძალასა იკრებს შრამისა-შვილი, — რამ გემსახურას დედას, შობილი.

თუ ქსურს შეგამკაც, ისიამოვნოს, კეთილი სიხარული, ქვეყნად მოჭეფინოს; ჭკვიჯგოს ვკადი ვარდად შეჭკონოს და სიუვარულით ზედ დაეკონოს.

ოჲ, რა რიგა მსურს მე უკარახო, ძმებში ძმა ვიქნებ, სადმე მფინახო; ... და სიხარულით ვაშა შეუძახო, დაბრკოლებანი მთლად გადაუღახო?!
ს. ერთაწმინდელი

ცოლი და ქმარი

- ნიკოლა?
- ბატონო.
- ბატონო კი არა, ხომ ჰხედავ, რომ „მოლნი“ შლიაბა არა მაქვს და მიყიდე.
- კი ბატონო.
- ნიკოლა?
- ბატონო.
- შლიაბა რომ მიყიდე, შლიაბას მოლნი ტანისამოსი არ უნდა?
- კი ბატონო, წვედიეთ გენაცვალე და იყიდე.
- ნიკოლა?
- ბატონო.
- რაცხა ფერადი, „ანგლიცკი“ ფეხსაცმელები მოსულა და მიყიდე.

- კი ბატონო.
- ნიკოლა?
- ბატონო.
- ხომ ხედავ თმა შემითხელდა. ყველა პარიკს იკეთებს, მერე და რა კარგი დახუჭუჭებულია! ძრიელ მომიხდება. უსათუოდ მიყიდე.
- კი ბატონო.
- ნიკოლა?
- ბატონო.
- დავწვით გენაცვალე და დილით ადრე ავდგეთ, საყიდელი კიდე ბევრი მაქვს და ბაზარში უნდა წავიდე.
- კი ბატონო.
- ნიკოლა?
- ბატონო.
- სანათი ჰქრება და თუ ნავთი შემოგაკლდეს ზეთი ჩაუშვი.
- სანათი რათ გინდა ჩემო სულის ჩამდგმელო, მეიტანე შენი ნავაჭრი: მოლნი კაბა, შლიაბა, ფეხსაცმელები, პარიკი, ყველა დააწყე სტოლზე და გაანათებს. ნავთისა და ზეთის ფული კი არა, ხვალის პურის ფული არ გააჩნია შენს ნიკოს.
ხელოს — ძმა.

ჩივის დედა

თუ ღმერთი გწამს, თუ გიყვარვარ ჩემო ღაო, ეფროსინე, მოიყვანე დედოფლები და ფწაია მომიღხინე.

ნიადაგ დღე გულს ვიანჩხლებ, დაწვებზე მდის ოფლის წუწი, ლამის აღარ შემრჩეს თავზე აღარც თმა და არც ბუწუწი.

უდროო და უალაგო თხოვნა-ხვეწნამ შემაჩვენა: ნეტავი რა ქირად უნდა ქალობა-ბნელს „დედა-ენა“?! სხვა რამეს რომ მთხოვდეს გულით ან ბროწეულს, ან ჩურჩხელას გეფიცები მეგობრობას, აუსრულებ წამსვე ყველას.

მაგრამ არა! ალ-ქაჯისგან არ მაქვს წუთით მოსვენება, ქალო, უნდა აუსრულო, თუ რამ თავად ზოენება.

ამიხირდა, აღარ დავძრავ არც ხმას, აღარც ენასაო,

თუ ახლავე არ მიყიდი ახალ „დედა-ენასაო“.

„დედა-ენას“ მოაყოლე უსათუოდ რვეულიო, საადდგომოთ მიყოლება ბევრი, ბევრი წვეულიო.

ჯერ ხომ ლექსებს წაუკითხავ, მერმე დავწერ რვეულზედა მას, რაც თავად უნდა სწერონ მიყოლებით ზედი-ზედა.

ბეჩა, ამის გადამკიდემ აბა რა ვქნა გენაცვალე, ენა დაუმახინჯდება, თან გადმიტანს დღეს თუ ხვალე.

სიყრმითვე რომ „დედა-ენას“ დაუდებს თავს, დაპყრის გულსა, მერე ვეღარ შეისწავლის რუსულსა და ფრანციულსა.

თუ ღმერთი გწამს, გვეედრები ჩემო ღაო, ეფროსინე, მოიყვანე დედოფლები ჩემი თოჯნა მომიღხინე.

იქნებ ხვალე არა მთხოვოს რვეული და „დედა-ენა“, ამისრულე ღაო, თხოვნა აგრემც გენაცვლები შენა.

შიო მღვიმელი.

ტ ა ნ გ ო

(სტენა)

აი, ღმერთმა და წმიდა ელიეს მადლომა მოსპო და მოტლიკა ახლანდელი ძღაბები. არ გუუშვას ახალ კვირის წირვამ და ლოცვამ. თლათ გუუშუენ სირცხვილი და ნამუსი. არაფრათ ავდებენ, არც კაცს და არც ქალს. ჩვენც ქე ვიყავით ქალები, ზარა ქე დოუჯერებდით ხოლმე კაცებს, მაგი დალუბულები, ისთე გაუსირცხვილდენ, რომ თლათ თუნდა გეიძრონ ტანზე — არაფერიო, ისთე დაკარგენ ნამუსი.

შამომიჩდა ჩემი ღაი — ახალ-კვირე მოაწიაო! ოი, არ გოუთენდა და არ დულამდა ჩემი ცოდვით. დეიწყო ზლუქუნი, მაინც და მაინც კაბა უნდა მიყიდოვო, მოდა გამევიდა ახალიო. ოი, იმის მომგონს დეიწუა ოდაცა და სახლიც! ასთე შემომიჩთა აღდომასაც, რაცხა მოდა არისო,

უნდა მიყიდოვო. სააღმშენებლოთ ქ...
უყადე. საწყლათ გამოზდილი კვა...
ტიები მყავდა და იგენი ვავკიდე.

იგიო, მითხრა, სააღმშენებლოთ სხვ...
მოდნი იყოვო და საახალ-კვიროთ...
სულ სხვაი არისო. მაინც რაფერი...
იქნება მეთქინ? რაფერიო და სააღ...
დომოთ მუხლგებამდი გვაჩთა ვაჭრი...
ლიო და საახალ-კვიროთ წელს...
ქვეით უნდა გამოგვიჩთეს, ისაე უნ...
და ვიაროთო. ტანგოს, რომ იძახიან...
აი, მისთანა უნდა იყოსო.

შემევიკარი თავზე ხელი ვაი მო...
გვექრა თავი, აგია მეთქინ? აი ქა...
ლები ქე დეიარებოდენ უწინ მარა...
არც წინე და არც უკანე ვაჭრილი...
არ უჩნდათ. ამ მოდების მომგონს...
უნდა მიხვიდე ჯოდინე დაწეთ დუ...
უსუა კისერში, რომ კილომ არ მეი...
გონოს. მერე ახლანდელს ძღაბებს...
ჯერ კისერში, იმ გულესავი ჯოდი...
ნეთი, მერე იმ წელს ქვეით, მოდნა...
ვაჭრილში, უღიტინო და უღიტინ...
ნო, სანამდი თვალებს დანაბავს და...
სისხლი არ გადინდება. იმიზე არის...
კარგი გულესავი დაბლაგული ჯო...
დინეც, რო დიდ ხანს არ დაანაბიებს...
თვალებს და ასთე, უნდა მოსპო და...
მოტლიკვო მაგენის სახსენებელი,
იქნება სხვებმა მაინც პატიოსნება შუ...
შუან თავში.

შ. ტროტინაშვილი.

სამება-პროტარსებას

(ქუთაისისათვის)

„იმერეთს“ მოველინა
„რიონელი“-„კვეს“-„ბუკი“;
ზღაპრულ ბაყბაყ-მდევივით
ააყენა ქარ-ბუქი.

ჩვენ მისმა მოველინებამ
გულს სიამე მოგვეფინა...
ნეტა მისი მონა გვექნა,
მასთან მოგვეცა ჩვენც ბინა!..

ბევრ სიკეთეს გვპირდება,
— რა გინდა სულო, გულო!
მხოლოდ ფართო გზა მიეც,
ჩამოდექი, ორგულო!..

ხელს ნუ უშლი, დიაღ ნიქს,
ენერგიას ულევებს...
ედემათ გადაგიქცევთ
საღორიის მწირე ველს.



ტფ. ქართ. მუშათა მომდგრად-მგალობელთა გუნდი. დაარსებული მ. კავსადის მიერ

ქუთაისს ააყვავებს,
მორთავს პატარძალივით;
არსებულს ახლით შესცვლის
ელექტრონის ძალივით.

წყალსადენი, ტრამვაი
და კანალიზაცია,
ელექტროს განათება...
ქალაქს — ასიგნაცია.

ნიაგარის ჩანჩქერის
ძალას აქ გამოიყვანს,
ძვირფასს სამკურნალო წყლებს
მიღებით აქ მოიყვანს.

პიტერიდან რკინის გზას
ქუთაისზე გაიყვანს;
შავი ზღვის გემ-ხომალდებს
ფაზისით შემოიყვანს.

შავსა და გურგენის ზღვებს
დიდ არხით შეაერთებს...
ჩვენს სამშობლოს აღუდგენს
თამარის დროის საზღვრებს.

გახსნის ქარხან-ფაბრიკებს,
შექნის დიდ მრეწველობას,
ყოველ დარგს ააყვავებს,
უფრო — მეურნეობას*)

ქუთაისი გახდება
ედემის შესადარი...
ფული — მილიონობით...
ნეტარება — მზად არი!..

ყველა ამას გვპირდება
„ბუკი“ თავის თავადა,
თუ ღირსეულ კაცს დაესვამთ
ქუთაისის თავადა.

*) როგორც ცნობილი მეურნე-მეოჯახე,
მეურნეობის დიდი მფარველი-მეცენატია.
*ვტ.

მაშ რას უცდით, ხმოსნებო!
ისარგებლეთ შემთხვევით:
ქალაქის მოურავათ
აირჩიეთ „ბუკი“ თვით.
წვერებათ აუჩიეთ
„კვესი“ და „რიონელი“:
ორივე ფოლადისაა
არ გეგონოთ ხელნელი.
მეც „კოეტი“

კა ვიცოლი

სატრფო ერთხელ წარმტაც ბაღში,
მწოლიარე დაგინახე,
მე ბედკრულმა იმ წამს გულში,
შენთან მოსვლა განვიზრახე.
მაგრამ დახე უბედობას
იმ ადგილას შენ არ იყავ,
რა ვიცოდი მე ცოდვილმა
თუ აჩრდილი ჩემთვის იყავ?

ჩაველ ბაღში, ვღვარე ცრემლი,
ცრემლი ზღვასთან შენაერთი,
მაგრამ ბედკრულს ვინ მისმენდა
მოწამეა მხოლოდ ღმერთი.

აი ამ დროს ეშხით მწველო,
იქნებ სხვის გულს ამშვიდებდი,
ბროლის თითით უკვდავ ქნარზე
ციურ ჰანგით უგალობდი.

ნ. დავითიშვილი.

სასიხარული — სამწუხარო რო ამბავი

წარსულ ხანებში, თბილისში, ხმა
იყო გავრცელებული, რომ „ქარ-
თველ ქალთა ამხანაგობის“ კრა-კერ-

ვის სასწავლებელში აპირებენ უფროსი კლასის მოსწავლე ქალები, ქართულ ტანთ-საცმელში უნდა გამოაწყონო. ე. ი. თავზე ჩიხტი-ლეჩაქები უნდა დაჰხურონო. ამ მოულოდნელ „თავზარდამცემ“ ამბავს მოსწავლე ქალების უმრავლესობა დიდს საგონებელში ჩააგდო. მასწავლებლების „ჯიუტ“ რჩევამ გასჭრა, და როგორც იყო დაითანხმეს მოწაფეები ქართულ ტანთ-საცმელის ჩაცმაზე. თუმცა ბევრს გული ეთანაღრებოდა და ჰფიქრობდნენ: — როგორ დავიმციროთ თავი და „კეკელკის“ სახელი ვატაროთ, ან კიდევ, რას გვეტყვიან მოარშიყე „კავალერები“ ასეთ „სამარცხინო“ საქმის ჩადენისათვისო. მაგრამ დახეილბაღს — უცბათ პარიზილამ სწრაფი დეპეშა მოვიდა და ერთ საათში ქალაქს ელვის სისწრაფით მოედგა — პარიზში უკვე დაამტკიცეს ახალი მოდა „ტანგო“. ამ სასიამოვნო ამბავმა ჩვენ ქალებს ტვინის აპარატი აუშობრავა. მოარშიყე „კავალერები“ მაშინათვე მიიქრნენ სასწავლებელთან, და ეს სასიამოვნო ამბავი აუწყეს მოსწავლეებს. ქალებმა მაშინათვე მიტინგი გამართეს და დაადგინეს: უკუ აგდონ ტრადიციული და „დამამცირებელი“ ჩიხტი-ლეჩაქები და თანაგრძნობა გამოუცხადონ პარიზელ ქალებს. მიტინგმა რეზოლიუციაც გამოიტანა, რომელიც შესდგება ორ მუხლისაგან, და წარუდგინეს სასწავლებლის გამგეობას. აირეზოლიუციის შინაარსი: 1) ჯერ ჩვენმა მოსწავლეებმა დაიხურონ ჩიხტი-ლეჩაქები, და მერე ჩვენ. 2) ჩვენ სიხარულით ვეგებებით „ტანგოს“ და ჩვენს თანაგრძნობას ვუცხადებთ განათლებულ პარიზელ ქალებს.

ასე, რომ „ტანგომ“ გაიმარჯვა. ჩვენი ქალები ისე გამოაბრუა ამ უკანასკნელმა მოდამ, რომ ჯერ-ჯერობით ვერ გაუგიათ — რას ნიშნავს სიტყვა „ტანგო“, საქმელია იგი თუ ტანზე ჩასაცმელი. ამიტომ არის, რომ დღეს ქუჩის მოვაჭრე კინტოები ბოლოკს და მწვანისადაც კი „ტანგოს“ სახელით ასაღებენ.

დ. მელია.



სცენა კუჟინის ბაღში

ბაღუტა. ხედავთ ქვეყნის ოხრობას!

საქულ რა ამბებია?

ამ ტუტუტურ ტანსაცმელს ჩვენში ვინ მოსწრებია?

ამ ხალხს რომ ვაკვირდები თავი სიზმრად მგონია, სურფ-გურქმა დასწყევლოს მოდების მომგონია.

ტანზე ყვითლებს იცვამენ ყმაწვილი, ბებერია, ტანგუს ეძახიან

რაღაც ინის ფერია. ჩემ ოსანას არ სძინავს ფიქრობს ტანგოს მოდაზე, დარდი აგან საქულჯან ლამის გავსკდე ბოღმაზე.

სამუღა. წენც ჩემ დღეში ყოფილხარ

ერთნაირად ვიწვევით, ჩემო გალუსტ ამ დღეში როდემდისინ ვიქნებით?..

გადმერია ცოლ-შვილი არაფერს მიგონებენ, ჩემ რჩევა-დარიგებას ყველაფერს მიწუნებენ.

ჩემი ცოლი ხანუმა სულ მთლად გამოიცვალა, ლეჩაქი მოიხადა ჭკუიდან შეიშალა.

ტანგოს შლაპა იყიდა, ტანგოს კაბა-ქოშები, ტუტუტურად გაფლანგა მონაგარი გროშები.

კლუბის გზები ისწავლა გაერია დამებში,

არშიყობასა შერება თრიატსა და ბაღებში. იმ დღეს კაცო, რა ვნახე ტროსტიანს მიჰყვებოდა, რუსულადა სჩმახავდა, რაღაც ემეს შერებოდა. ამ ამბის დანახვაზე სულ ტანში მოვიშალე დარდისაგან კინალამ, ჭკუიდან შევიშალე.

ბასპარა. ეს რა დრო მოგვივიდა, რასა ხედავს თვალები, შვილი-შვილს აღარა გავს რას სჩადიან ქალები!..

კაცო ეს ტუტუტობა განა სადმე მომხდარა?

ცანცარა ამბარცუმა რედაქორი გამხდარა!..

ნეტა ტუტუტს რა ესმის, ვის რა უნდა ასწავლოს?

უჯობს თვის ქერქში იყვეს და ტვინი არ აწვალოს. საწვრიმალ ო იყიდოს ხელი მიჰყოს ვაჭრობას, განა რა შეედრება

ფულის თვლას და ჩარჩობას?!

პოდოსა. ეს, ბოღმა მაწუხებს, სათქმელები ბევრია, ამერია დავთრები სახლი ვაღამერია.

ეს თვალები საქულჯან რეებს არა ხედავენ, ზოგი ხვალისთვისა ვთქვათ, მგონი ბალსა ჰკეტავენ.

პეტრუზა.

შანი სინანულია

(ნაწევრი პოემა „შეშლილი“ დან)

ვინ შემასვა სულს კმუნვა, ვინ დამაღო გულზე ლოდი; სასოებაჲ შენ მოგიხმობ ფაქრით ფიქრზე რომ გელოდი.

ვით ყვაილი სამოთხისა, ვით ფენიქსი ახლდებოდი; აღმაფრენას ფრთებს ასხამდი ბედის ჩივილს არა ჰგრძნობდი.

ვინ მიმსხვრია ბედის ეტლი, სუღარაში შეახვია, ვინ დამასო გულზე დანა, ვინ დამაქლო გულზე ტყვია, საუკუნით ანაგები ქვის კედელი დამირღვია,

შური-მტრობა შხამ-სამსალა სამკურნალოდ დააფრქვია...

ვინ მომგლიჯა მკერდში სატროფო, ვინ დამრია ცოდვის ხელი ვინ მომგლიჯა დედის მკერდსა, ვინ დამაღო ქედს უღელი, ვინ მომგლიჯა ლალ ოცნებას ნეტარების სარგეელი,

ვინ დამკრულა, ვინ განხადა ჯოჯოხეთის გზაზე მსვლელი.. ხე ცნობადის კეთილისა, ვინ მომგლიჯა ვინ გასტყორცნა, ძე ქვეყნის მის მოტრფიალზე, ვინ გაელიტა, ვინ წარხოცა?! ახ, მე, რავექნა, ცა პირქუში სახე მწყრალი პირს არ იხსნის, სასოება კვლავ ჩამძახის: მომავალი გიხსნის, გიხსნის.

ფუ, რად მინდა ცრუ იმედი, კრკლ ოცნებით მოქარგული, ან ოცნება მუდამ მწვავე სასტიკი და მოშხამული,

ან ვით ვზიღო სამარემდე გული კვნესით გაბასრული?! სულ ტყვილია, ბედით კრულსა ველარ მიხსნის სინანული...

ბედის წყევა ჩენზედა სქრის, სულმა იგრძნო სიმარტოვე, ხვაშიადი გარდამეცა მეგობარ ვერა ვპოვე, და დავკრულე ეს სოფელი, დავკრულე და მივატოვე, მაგრამ ტანჯვის სურათი კი, მატჩიანეს დაუტოვე...
ირ. ტოფაძე.

მე შენ არ მწამხარ!

მე შენ არ გიძეკერ... თვალს გარდაღებ... არ მსურს გიუფრო, არ მსურს ვიხილო შენს ტუჩებსზე დიმილის ვარდი...

ვგრძნობ, რომ დაფიქრებ საშუადადმოდ დრას ცხორებისას, თუ კი, მაცდურად, ერთხელ გნახე და შემიუფარდი.

შენს მწველ დიმილში სძინავს დემონს, რღვევის ანგელოზს, და შენს სიცილში ისმის მისი ხარხარი მწარე;

შენ, გოჟმყოფობით გსურს დაიბურო არსება ჩემი, და თვალთა გრძნებით ამაღეფრო ბაგში მღუმარე.

მე შენ არ მწამხარ... გესმის არა... მას რად მწვალებ?... რისთვის გსურს სული ამომეთოთ და დამიხრდილო?..

ვიცი შენს მწვადა და მიტმაც ვერ შეგაუფარებ, მე შენ არ მწამხარ!.. თვალს გარდაღებ, არ მსურს ვიხილო!..
მ. ღვამიჩავა.

გამთამიებელი

(ანტ. ჩუხუჩისა)

გაზაფხულის მშვენიერი დღე იდგა. სასამართლოს გამოძიებელი და ექიმი ერთად მიემგზარებოდნენ. გამოძიებელი, შნ წლისა, ჩაფიქრებული დასცქეროდა ცხენებს და ამბობდა:

— ბუნებაში ბევრი რამ არის გამოურკვეველი და ბნელი, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ექიმო, ხშირად შევეჯახებით ხოლმე ისეთ მოვლენებს, რომლის გამოცნობა ჩვენ არ ძალგვიძს. მაგალითად, მე ვიცი ბევრი უცნაური, ზღაპრული სიკვდილი, რომლის მიზეზთა გამორ-

კვევას მხოლოდ სპიხიტეკები და მისტიკები თუ შესძლებენ. მე ვიცნობდი ერთ ინტელიგენტ ქალს, რომელმაც იწინასწარმეტყველა თავისი სიკვდილი და ყოველივე მიზეზთა გარეშე სწორედ დანიშნულ დღეს განუტევა სული. სთქვა, რომ მოვკვდები ამა და ამ დღესო და აღსრულდა კიდევ.

— არ არის მოვლენა უმიზეზოდ, — უზასუხა ექიმმა — არის სიკვდილი, მაშასადამე, არსებობს მისი მიზეზები და ვინც გულთმისნობს და წინასწარმეტყველობს, აქ არა არის რა საკვირველი. ჩვენი დედა-კაცები ხშირად განთქმულნი არიან ხოლმე თავიანთის წინასწარმეტყველებითა და წინასწარგრძნობით.

— ეს ხომ ასეა, მაგრამ ჩემი მეუღლე, ექიმო, სულ სხვა ადამიანი გახლავთ. მის გულთმისნობასა და წინასწარმეტყველობაში არ იყო არავითარი ქალური, დედაკაცური. ის იყო ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ჰკვირანი. მას ჰქონდა მოციმციმე, ნათელი და პატიოსანი თვალები; გაშლილი და ჰაზროვანი პირისახე, ნამდვილი რუსული, მომღიმარი ტუჩები. სადედაკაცო, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, იმაში ერთი რამ იყო — სილამაზე. წარმოსადგენი, კეკლუცი, ვით გაზაფხულის ვარდი, მშვენიერი გიშრის თმა! რომ გაუგებარი არ გახდეს თქვენთვის, დაუმატებ, რომ ის იყო ადამიანი ფრიად მხიარული, უზრუნველი და გონიერი, როგორც არიან დაჯილდევებულნი მხოლოდ მაღალ-აზროვანი ადამიანები. და განა შეიძლება აქ ლაპარაკი რაღაც მისტიციზმზე, სპირიტუზმზე, წინასწარმეტყველებაზე და სხვა ამგვარებზე? ყველა ამაებს ის ხომ სასტეკად დასცინოდა. ექიმი და გამოძიებელი ქას მიუახლოვდნენ. მგზავრებმა წყურვილი მოიკლეს და დაუწყეს ცდა მეტელეს, რომელიც ცხენებს წყალს ალევინებდა.

— ჰო, რისგან მოკვდა ის ქალი? — შეეკითხა ექიმი გამოძიებელს.

— იმის სიკვდილი გასაოცარია. ერთ აშვენერ დღეს, ცოლსა და ქმარს შორის ჩამოვარდა ლაპარაკი ოჯახურ საქმეებზე და ქმარი იმ აზრს დაადგა, რომ გაეყიდნათ მათი დანჯღრეული ეტლი, ხოლო მის საბადლოდ სხვა რამ შეეძინათ.

ცოლმა წაიყრუა და უთხრა:

— როგორც გსურდეთ, ისე მოიქეცით, ჩემთვის ეხლა სულ ერთია, რადგანაც ჩემი დღეები დათვლილია.

რასაკვირველია, ქმარი გოაცებული დარჩა ცოლის ასეთი სიტყვებით, მხრები შეიწია და უნებურად ჩაიციხა.

— მე სრულიადაც არ ვხუმრობ, — ეუბნებოდა ცოლი — ეხლავე გიცხადებ რომ მე ჩქარა მოვკვდები.

— როგორ თუ ჩქარა?

— მშობიარობისთანავე.

ცოლის სიტყვებს ქმარმა არ მიაქცია არავითარი ყურადღება. მას არ სწამდა არავითარი წინათგმობა და ამასთანავე მშვენივრად იცოდა, რომ ქალებს უყვართ ჟინიანობა და სხვა და სხვა შავ ფიქრებში შეტოპვა. გავიდა კიდევ ერთი დღე და ცოლი კი ყოველთვის იმას ეუბნებოდა, რომ მოვკვდები მშობიარობისთანავეო, მაგრამ ქმარს სიცილადაც არა ჰყოფნიდა ყოველივე ეს. მოახლოვდა საიკვდილის ჟამიც. რადგან ქმარმა ყური არ უგდო მას, ის შევიდა სამხარეულოში და აცნობა მხარეულსა და გამზრდელს თავის სიცოცხლის აღსასრული.

— ბევრი სიცოცხლე აღარ დამრჩენია, ჩემო გამზრდელო. მშობიარობისთანავე მოვკვდები. არ მინდოდა ასე მალე მომკვდარიყავ, მაგრამ რას იზამთ, როდესაც ასეთია ჩემი ბედის წერა.

მხარეულსა და გამზრდელს თვალებიდან ცრემლები წამოუვიდათ. ამბობდა ის დაბეჯითებით, უსიამოვნო ღიმილით და ბოროტის გამომეტყველებით, აუღელვებლად. ეხლა აღარც კითხულობდა, არც იცინოდა და არც აღარაფერზე ოცნებობდა... ეს კიდევ ცოტაა. წაიყვანა

თავის ბიძის-ცოლი და აჩენა ის სასაულოა, სადაც უნდა დაეკრძალათ. ხუთის დღის წინად მშობიარობისას ანდერძი დასწერა. წარმოადგინეთ, რომ მშობიარეს არავითარი სასიკვდილო ნიშნები არ ეტყობოდა. მშობიარობა ძნელი რამ არის, ხანდახან სიკვდილიც მოსდევს ხოლმე, მაგრამ გეფიცებით პატრონებას, რომ მას არაფერი ამის მსგეისი არა ეტყობოდა-რა და საკეთილდღეოდ გვირგვინდებოდა. ქმარს მობეზრდა ცოლის ასეთი ლაპარაკი. ერთხელ, სადილობისას, ის ძლიერ გაჯავრდა და ჰკითხა:

— ნატალია, როდის მოვლება ბოლო ამ შენ სისულელეს?!

— აქ არავითარი სისულელე არ არის, მე დაბეჯითებით გეუბნებით.

— სტყუი! მე შენ გირჩევ თავი გაანებო ასეთ ბოდვას, რომ ბოლოს შენვე არ შეგრცხვებს. **Fleisvig.**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ბილოსკები

„სასაჯხო გაზეთს“ — ი. ვადაქკორია?!

„თქმს“ — განსვენება.

„თუატრი და ცხორებას“ — მრავალ ქამირ!

„ფიქს“ — დაფიქრება!

„იმერეთს“ — თფილისი თუ თბილისი?!

„ბათუმის გაზეთს“ — იავ-ნანა, ვარდონანა, იავ-ნანანაო, დაიძინე, გენაცვალოს, შენ რედა-ქტორ-რი-ო“

„ხმა კახეთისას“ — ალ. შანშიაშვილი და ივ. გომართელი.

ა. გრემიშვილს — მეორის შოვნა.

ა. მჭედლიშვილს — „საპოტნიკობა“

ს. ფაშაღაშვილს — „კასირობა“

კუჭტ. მკუფ. საზოგადოებას — დოლის გამართვა დიდუბეში..

გ. ჯუანბიქს —... და მარად „ლახტი“ აწ, და მარადის, და უკუნითი — უკუნისამდე!.

კიკნა ფშაგუჯას — კუჭის გაძღობა!

დ. თურდღასმაძე — კრიტიკის წერა! (ანუ სუფთა ხელობის შოვნა).

ჟ. გეგუჭკოვს — ხა, ხა, ხა, ხა, ხა!!! „ჯასტს“ — „ქვეშევრდომთა“ დაღობტვა!

„მთარას“ — ძმა-ბიჭურად ლაქ-ლაქი!

გ. ქუშიაშვილს — ქუჩის „დვორნიკობა“

ჩვენ არტისტებს — „დედა ენის“ 1-ლი და 2-რე ნაწილის შესწავლა. ჩვენ მასწავლებლებს —, განათლების“ კითხვა!

ახლად გამჩევილ და აწიულებულ, პოეტებს“ — „ლახტის“ წვერი! ივ. კ — ური.

სუსხიანი აზრები

ჩვენი ახალგაზრდა პოეტი ი. მჭედლიშვილისაგან ქუთაისიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღეთ:

„სრულიად ტყუილი გამოდგა ის ცნობა, ვითომც ლეონარდო დავინჩის ჯაჟკანდა მოეპარათ და შემდეგ იტალიაში აღმოჩინათ, როგორც თურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. საქმე სულ სხვანაირად ყოფილა: ჯიოკონდას სული ჩასდგმია და თავისი ფეხით გამოპარულა დასავლეთ საქართველოში. ამ ქამად იგი ქალაქ ქუთაისში იმყოფება და ატარებს ექვნე (ჯენა) გაფრგობიანის სახელს“.

კარგა ხანია ავლაბრის ქართულ სახალხო წარ. მმართველ წრეს წარმოდგენები აღარ გაუმართავს. ამბობენ, გამგეობა ძველ ცოდვებს ინანიებს, რომ წარმოდგენების მართვა მიივიწყაო. გამგეობის მთავარი საფიქრელი თურმე ისა ყოფილა, რომ თავისი არსებობიდან, ე. ი. ორი წლის განმავლობაში, ვისგანაც რა შეწირულება მიუღიათ, მადლობა არავისთვის არ გადაუხდიათ გაზეთის საშუალებით. როგორც ამბობენ, შეწირულება შემდეგი პირებისგან ყოფილა: მირზოევისაგან 100 მან. ივანძისაგან — 100 მან., ეფინჯიანცისაგან — 100 მან., ახალი კლუბისაგან — 100 მან., ქალაქის გამგეობისაგან — 150 მან., ქართულ თეატრში წარმოდგენის გამართვიდან და მუშტაიდის ბაღში სეირნობიდან 800 მან. და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი შემოწირულება. გამგეობა თურმე ჰფიქრობს, როდესაც ეს პირები მეორეჯერ კიდევ შესწირავენ, შემდეგში სულ ერთად გადაუხადონ მადლობა.

ავლაბრის საზოგადო კლუბის მასახლისთა საბჭოს დაუდგენია შემ-

დევნი: „ვინაიდან ჩვენ ამ კლუბის მამასახლისები ყველა შოკინისტები ვართ და ქართველები ძალზედა გვძულს, ამიტომ ამიერიდან კლუბში სრულიად უნდა მოისპოს ქართული წაომოდგენები. მარტოდმარტო სომხური კმარა. თუმცა ერთი მამასახლისი ფორაქაშვილი ქართველია, მაგრამ რა გვენადღვლება, თუ კი იგი ქართველობას არ იჩენს და ყველაფერში ჩვენ გვემხრობა? მართალია, კლუბში მოსიარულენი ქართველებიც არიან და სომხს უქეტესმა ნაწილმაც ქართული ენა ზედმიწევნით იცის, მაგრამ ჩენი ერთადერთი მიზანია ყველას დავაწყოთ ქართული და შევაჩვიოთ ნამდვილი სომხური ენა.“

დ ე კ ე შ ა

ლანჩხუთი. საამაღლებოდ დანიშნულია ფრენა ავიატორი ბ. შხანკოლა იფრენს კუდიანი ვარსკვლავით,

ვით, ლანჩხუთიდან გომბურში. შემდეგ აპირებს მთელი გურიის შემოვლას. ბილეთები იყიდება „მათრახის“ კარესპონდენტებთან.

სათაელი.

ჭუთაისი. რადგან ამ გაზაფხულზე უხვად ჰფენს სინათლეს ქუთაისის ქუჩებს მთვარე, ამიტომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, აღარ აანთოს ღამდამობით ქუჩებზე გზის ფარნები.

ამ უქმეებში ქუთაისის ქუჩებზე „ვესე ბლაგოპოლუჩენო“-თ იყო. თუმცა ღამის 9 საათიდან ცემა ტყევის პერიოდული სახე ჰქონდა მიღებული, მაგრამ ეს რა სახსენებელია, მით უმეტეს, რომ ამ დროს მცხოვრებლებსაც და პოლიციასაც ეძინათ.

ფრიალ ღამაში ქალი, რომლის სინარჩარე მთელს დასავლეთ საქართველოშია გავარდნილი, ეძებს საქმროს. რომელსაც უნდა ჰქონდეს:

- 1) ნაპოლეონის თვალები, რომელნიც ყველაფერს უნდა ნათლამდეს ცეცხლით.
- 2) ნერონის სახე, რომელიც უნდა ჰგვრიდეს ყველას, — ცოლს გარდა.

მელიც უიშს უნდა ჰგვრიდეს ყველას, — ცოლს გარდა. 3) ჰუშკინის შავი ხუჭუჭი თმა და 4) ბაირონის ქკუა.

ზემო ჩამოთვლილ ღარსებიან კაცებს ნება ეძლევათ ჩამოვიდნენ ქუთაისში და იკითხონ შემდეგი ადრესით: „ბულვარ ნ. დაგაბნიკესკაია“

მიშა.

გ ა მ ო ც ა ნ ა

ერთი ვინმე „მეჩემკმა“, თურმე დადის კარადა-კარა, უხეირო საქციელით, ველარავინ გაახარა!

მარმაროვის სარდაფშია, ღვინომ გული დაუძმარა, ჯიბეში ფული არ ჰქონდა, ადგა ჩუმით გაიპარა!

მერე, როცა ფული სთხოვეს, მოიხმარა ლანძღვით ძალა, მერე ვისი ბრალი იყო, გასტეხოდა თავის ქალა?!


იგინება, ილანძღება, რადგან მუქთად გამომთვრალა, შევარცხვინე იმისთანა, ვინც ამგვარი შეიბრალა!

მემაპიროზე.

ბუილისის ყასვავის თაგვასულობა.



ყას ბი მუშტარს: აი უენი ნიხრი, შე არამზადა!..



გავსუქდი და გავიბერე სააღდგომო კვერცხივითა, ჟლისტოკი „ბლომად ვრცელდება გადამდები ქეცივითა.“